UNIQUE OLD GEORGIAN EPITAPH OF THE 2ND HALF OF 10TH AND THE 1ST HALF OF 11TH CENTURIES IN TABAKSKURI[1]

X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის I ნახევრის უნიკალური ძველი ქართული ეპიტაფია ტაბაწყურიდან[2]

NIKOLOZ ZHGHENTI
PhD student of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
Researcher at K. Kekelidze National Centre of Manuscripts of Georgia (M. Aleksidze street 2, Tbilisi Georgia).
Tel.: +995 599899646.
E-mail: nikozhgenti@gmail.com.
ORCID: 0000-0002-5526-4105

Abstract

This paper presents for the first time the text of an inscribed tombstone discovered within the ruins of the architectural complex of "Ninoqala" at Tabatskuri. On palaeographic grounds, the inscription is dated to the second half of the 10th century or the first half of the 11th century. The epitaph is unique: instead of the standard commemorative epitaph typical of the medieval period, the text is exclusively prohibitive in character, forbidding any interference with the tombstone without the permission of a priest.

On the one hand, this inscription provides additional evidence regarding the nature and function of the "Ninoqala" architectural complex; on the other hand, it raises questions concerning the social status of the epitaph's owner, presumed to have been a feudal lord governing Tabatskuri. With a high degree of probability, the tombstone belonged to the feudal administrator of Tabatskuri, under whose authority the "Ninoqala" church and the adjacent fortified settlement (or monastery) must have been situated.

Key Words: Tabatskuri; Tombstone; Inscription; Epitaph; Curse.

ნიკოლოზ ჟღენტი
დოქტორანტი (ისტორიის პროგრამა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მკვლევარი (მ. ალექსიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო).
ტელ.: +995 599899646.
ელ. ფოსტა: nikozhgenti@gmail.com.
ORCID: 0000-0002-5526-4105

აბსტრაქტი

ნაშრომში პირველად ქვეყნდება ტაბაწყურის "ნინოყალას" არქიტექტურული კომპლექსის ნანგრევების ტერიტორიაზე გამოვლენილი წარწერიანი საფლავის ქვის ტექსტი. წარწერა პალეოგრაფიულად X საუკუნის II ნახევრითა და XI საუკუნის I ნახევრით

[1] This research [FR-22-23398] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

[2] კვლევა [FR-22-23398] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

დათარიღდა. ეპიტაფია უნიკალურია - გარდაცვლილი პიროვნების შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი სტანდარტული მოსახსენიებელი ეპიტაფიის ნაცვლად, ტექსტი მხოლოდ კრულობითი ხასიათისაა და კრძალავს საფლავის ქვის ხელყოფას მღვდლის ნებართვის გარეშე. აღნიშნული წარწერა ერთის მხრივ აჩენს დამატებით მინიშნებებს "ნინოყალას" არქიტექტურული კომპლექსის რაობის შესახებ, მეორე მხრივ კი აჩენს ეჭვს ეპიტაფიის პატრონის, ტაბაწყურის განმკარგავი ფეოდალის სტატუსის შესახებ. დიდი ალბათობით, საფლავის ქვა ეკუთვნოდა ტაბაწყურის გამგებელ ფეოდალს, რომლის განკარგულებაშიც უნდა ყოფილიყო "ნინოყალას" ეკლესია და გამარებული სამოსახლოც (ან მონასტერი).

საკვანძო სიტყვები: ტაბაწყური; საფლავის ქვა; წარწერა; ეპიტაფია; წყევლა.

შესავალი

2023 წლის მარტიდან ააიპ „საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის" მიერ ხორციელდება პროექტი სახელწოდებით – „ისტორიული მესხეთის მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი კატალოგი [NFR-22-23398]". პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ისტორიული მესხეთის (საქართველოს საზღვრებში არსებული) კულტურის ძეგლების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) კატალოგის გამოცემა. მასში თავს მოიყრის 2023-2026 წლებში განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციების დროს მოპოვებული და წერილობით წყაროებთან შეჯერებული მასალა. რეგიონში არსებული სოფლების, ნასოფლარებისა და კულტურის ძეგლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მაქსიმალური სისრულით.

პროექტის სამეცნიერო ჯგუფი, დაგეგმილი ექსპედიციების მეშვეობით, შეისწავლის და აღნუსხავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ექვს მუნიციპალიტეტში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბორჯომის) შემავალ უძრავ თუ მოძრავ ძეგლებს. ისტორიული პროვინციების შესწავლა ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: სამცხე, ჯავახეთი, თორი.

2023-2025 წლებში საკვლევი ექსპედიციები ჩატარდა ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში, რა დროსაც აღიწერა სოფლების, ნასოფლარებისა და კულტურის ძეგლების უდიდესი ნაწილი.

ამ პროექტში მევალება მესხეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევა და პუბლიკაცია. 2023-2024 წლების ექსპედიციების ფარგლებში გამოვლინდა ათობით უცნობი ძველი ქართული წარწერა, ხოლო ათობით ცნობილი წარწერა განსხვავებული წაკითხვითა და/ან დათარიღებით იქნა გამოქვეყნებული. შედეგად შუასაუკუნეების სხვადასხვა ისტორიული არქიტექტურული ძეგლის ქრონოლოგიური და ისტორიული საკითხებიც შესაძლოა დაზუსტდეს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენ სწორედ ასეთ წარწერას, რომელიც უნიკალურ ეპიტაფიას წარმოადგენს.

მეთოდები

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს პალეოგრაფიულ და ტექსტოლოგიურ ანალიზს. პალეოგრაფიული ანალიზი მოიცავს კონკრეტული წარწერის გრაფემათა მოხაზულობისა და, ზოგადად, წარწერის სტილის შედარებით ანალიზს პარალელურ მასალასთან. კვლევის

შედეგად, შესაძლებელი ხდება არა მარტო წარწერის, არამედ თვით არქიტექტურული კომპლექსის იმ ნაწილის თარიღის დაზუსტებაც, რომელშიც ჩასმული იყო კონკრეტული ლაპიდარული წარწერა. ეპიგრაფიკული ძეგლების ტექსტოლოგიური კვლევა ასევე შედარებით ანალიზს ეფუძნება. ტექსტოლოგიურმა მონაცემებმა, პარალელურ ტექსტებთან შედარების შედეგად, შესაძლოა განსაზღვროს კონკრეტული ეპიგრაფიკული ძეგლის არა მხოლოდ პერიოდი, არამედ მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც.

შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა და დათარიღდა უნიკალური ეპიგრაფიკული ძეგლი - განჩინება-კრულვითი ფორმულის ამსახველი ტექსტი, რომელიც საფლავის ხელშეუხებლობას ითხოვს, თუმცა მღვდლის ნებართვის შემთხვევას დასაშვებად მიიჩნევს. ეს საფლავის ქვა უნდა იყოს ადგილობრივი ფეოდალური ფენის წარმომადგენლისათვის გაკეთებული, რომელიც, შესაძლოა, ტაბაწყურის გამგებელი მოხელეც ყოფილიყო.

დისკუსია

ჯავახეთში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ტაბაწყურის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, სოფლიდან დაახლ. 700 მ-ში, მდებარეობს მოზრდილი ბორცვი, რომლის თხემზეც, ზ. დ. 2145 მ-ზე ეკლესიისა და სხვა ნაგებობების ნანგრევები მდებარეობს. ნაგებობები საძირკვლამდეა დანგრეული და მხოლოდ შენობების კონტურები ჩანს.



„ნინოყალას“ კომპლექსის ზედხედი

ამ კონტურების მიხედვით შესაძლებელი ხდება კომპლექსის მიახლოებითი გეგმის მოხაზვა და ფართობის განსაზღვრა. კომპლექსი 5404 მ² (0.54 ჰა) ფართობზე იყო განლაგებული და მოიცავდა 10-მდე ნაგებობას, რომელიც გალავნით იყო შემორტყმული. საერო ნაგებობები (?) კომპლექსის 2/3-ს მოიცავდა. კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა ეკლესია, ხოლო მის გარშემო ძველი სასაფლაოა შემორჩენილი. ეკლესიის თავდაპირველი სახე არ არის შემორჩენილი. დღეისათვის ადგილზე ახალი სამლოცველო ნაგებობაა მოწყობილი.[3]

[3] ინტერიერში, აღმოსავლეთ კედლის ერთ ქვაზე ამოღარულია თარიღი - 1983 წ., რაც ამ ახალი სალოცავის აგების თარიღი უნდა იყოს.

ამ ადგილს ადგილობრივები „ნინოღელას“, ასევე „ნინოყალას“, ანუ „ნინოს ციხეს/სიმაგრეს“ უწოდებენ. მიჩნეულია, რომ ეკლესია განვითარებულ შუა საუკუნეებს (X-XV სს.) ეკუთვნოდა და წმ. ნინოს სახელობისაა, ხოლო კომპლექსი ტაბაწყურელებისთვის მოწყობილი სიმაგრე იყო და თორიდან და თრიალეთიდან ჯავახეთში მიმავალი გზების შესაყარს იცავდა (ჯავახეთი, 2000: 83-84).[4] სპეციალურ ლიტერატურაში ძეგლის ტიპი გამაგრებულ დასახლებად არის აღნიშნული (ნარიმანიშვილი, 2019: 365).

კომპლექსის ზუსტ რაობას, არქიტექტურული ფენების თარიღ(ებ)ს და სხვა მნისვნელოვან საკითხებს ადგილზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და ძირეული შესწავლა თუ დააზუსტებს. მანამდე კი იძულებულნი ვართ მხოლოდ ზედაპირული დაკვირვების შედეგად მიღებულ ვარაუდებს დავჯერდეთ.

თანამედროვე სალოცავის ადგილზე მართლაც უნდა მდგარიყო ძველი ეკლესია. ეკლესია დღეისათვის დარბაზულად ითვლება, თუმცა ადრე შესაძლოა განსხვავებული (გვერდითა მინაშენებიანი ან ნავებიანი) ბაზილიკის სტილისაც ყოფილიყო. შემორჩენილია პერანგგაცლილი კედლები და ჩრდილოეთ კედლის მცირე ფრაგმენტი. მის გარშემო კი შუასაუკუნეების საფლავის ქვებია შემორჩენილი.

ეკლესიიდან სამხრეთით დაახლ. 15 მეტრში მდებარეობს ერთი საფლავის ქვა, რომლის ზედა ნაწილს ორქანობა სახურავის ფორმა აქვს.

[4] https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=17588; შუასაუკუნეების საქართველოში წმ. ნინოს სახელობის ეკლესია არსად დასტურდება. შესაბამისად, აღნიშნული ეკლესიის წმ. ნინოს სახელობაც საეჭვოა და ახლო წარსულში უნდა იყოს შერქმეული.

ქვის სიგრძე 111 სმ-ა; სიგანე - 62 სმ; ხოლო სიმაღლე 45 სმ. დამუშავებულია (მოსწორებულია) მხოლოდ ქვის ზედა ნაწილი, რაშიც გამოყვანილია ორი ქანობი. დანარჩენი მხარეები კი დაუმუშავებელი ან უხეშად მოსწორებულია. საფლავის ქვა მიწის ზედაპირზე დევს და არ არის ჩაფლული სიღრმეში (როგორც სხვა საფლავის ქვები). ეს კი მაფიქრებინებს, რომ დღეისათვის ეს საფლავის ქვა არ მდებარეობს მის თავდაპირველ ადგილზე. საფლავის ქვის ერთ-ერთ ზედა ქანობზე, რომელიც ამჟამად სამხრეთისკენ იხედება, ამოკვეთილია ორ სტრიქონიანი ძველი ქართული წარწერა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლი უცნობია სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისათვის.

ეპიტაფიის ტექსტი ლამაზი, ნაწილობრივ კიდურწაისრული მთავრულით არის ნაკვეთი. წარწერის ზომები: 90X19,5; ყველაზე დიდი გრაფემა (d) - 9X7,8; ყველაზე პატარა გრაფემა (V) - 5,4X2. ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია საშუალო ზომის კლაკნილი ხაზი. განკვეთილობის ნიშნები არ გვხვდება. ქვის ზედაპირის დაზიანების მიუხედავად, წარწერა თითქმის სრულად იკითხება.



წარწერა დედნისეული დამწერლობით:

vineseaSaloso~[m]md
R~nnug~nhXsnas

მხედრული ტრანსკრიფცია:

ვინ ესე აშალოს უ[მ](ა)მ(ო)დ - |[2] ღ(მერთმა)ნ ნუ გ(ა)ნჰ̃ესნას!

წარწერის ტექსტის შინაარსი თანამედროვე ლიტერატურული ქართულით დაახლოებით ასე უნდა გავიგოთ: ვინც ამ საფლავს ხელყოფს/არევს („აშალოს“[5]) მღვდლის ნებართვის გარეშე („უმამოდ“), ღმერთმა არ დაიხსნას წყევლისგან („ნუ განჰ̃ესნას“[6]).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული წარწერა არის არა შუასაუკუნეების ქართული საფლავისათვის დამახასიათებელი კლასიკური ეპიტაფია კონკრეტული გარდაცვლილი პირის მოსახსენებლით, არამედ გარკვეულ განჩინება-კრულვის ფორმულას წარმოადგენს.

ვინაიდან წარწერას არ აქვს თარიღი და არც ვინმე ისტორიულ პირს ან მოვლენას იხსენიებს, რითიც შევძლებდით საფლავის ქვის დათარიღებას, წარწერის ერთადერთი დამათარიღებელი ინსტრუმენტი მისი პალეოგრაფიაა.

პალეოგრაფიულად წარწერის რიგი გრაფემები, კერძოდ v,n,a,o,m,g,h და X გრაფემები, ასევე წარწერის ზოგადი სტილი (პროპორციები, გრაფემების სიმრგვალე) დიდ მსგავსებას ავლენს X-XI საუკუნეების ლაპიდარულ წარწერებთან (შოშიაშვილი, 1980: 144, 203, 212, 222, 227, 261, 280-281, 291; სილოგავა, 1984: 52, 87, 103; ბოშიშვილი, მათითაშვილი და სხვ., 2017: 107, 111, 123; ბოშიშვილი, თავაძე, და სხვ., 2021: 453-475; გოგოლაძე, 2023ა: 52, 72, 93, 127, 135, 137, 180, 182, 401; გოგოლაძე, 2023ბ: 58, 64; წიქარიშვილი, ბერიძე და სხვ., 2025: 37-41). შესაბამისად, აღნიშნული ეპიტაფიის დათაღირებაც იმავე ქრონოლოგიური ჩარჩოებით არის მიზანშეწონილი. ამავე დროს, წარწერა განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს ზარზმის მონასტრის ეკვდერის X საუკუნის 80-იანი წლებით დათარიღებული საამშენებლო წარწერასთან (გრაფემები: n,a,m,g,h) და დიდი გომარეთის ღმრთისმშობლის ეკლესიის 1022-1027 წლების წარწერასთან (გრაფემები: n,a,o,m,X) (შოშიაშვილი, 1980: 280-281; ბოშიშვილი, მათითაშვილი და სხვ., 2017: 111). პალეოგრაფიული მსგავსება იმდენად

[5] „აშლა“ აშლას, არევას აღნიშნავდა (აბულაძე, 1973: 24).

[6] ტერმინი „განჰ̃ესნა“ წყევლა-კრულვის კონტექსტში ძველი ქართულ ტექსტებში ხშირად გვხვდება (აბულაძე, 1973: 82). შინაარსობრივად სიტყვა „კრულვა“ შეკვრას (შეკრულს) აღნიშნავს და სიტყვა „გაჰ̃ესნაც“ კარგად შეესაბამება მას, როგორც მისი ანტონიმი. ბუნებრივია, აღნიშნულ წარწერაშიც იგულისხმება კრულვის განხსნა, მიუხედავად იმისა რომ ეს სიტყვა გამოტოვებულია.

დიდია, რომ არის საკმაოდ დიდი ალბათობა ტაბაწყურის ამ საფლავის ქვის წარწერაც იმავე პერიოდის, ანუ X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის I ნახევრის იყოს.

გავარკვიეთ რა წარწერის მიახლოებითი თარიღი, დროა განვიხილოთ უშუალოდ მისი შინაარსი.

ერთი მხრივ წარწერას არ გააჩნია მაღალი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება. მასში არ არის დაკონკრეტებული, თუ ვის საფლავის ქვას წარმოადგენდა ის, როდის ან რით გარდაიცვალა ეს პირი და სხვ. აღნიშნული ცნობები კი საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემდა, როგორც უშუალოდ ამ ეკლესიის შესახებ, ასევე ადგილობრივი ფეოდალური საგვარეულოს შესახებ (ბუნებრივია, ამგვარი წარწერიანი საფლავის ქვა ფეოდალურ წყობაში ვერ იქნებოდა რიგითი პირის განსასვენებელი).

თუმცა, მეორე მხრივ, წარწერა უნიკალურია, რადგან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შუასაუკუნეების არც ერთ ქართულ წარწერიან საფლავის ქვას არ აქვს მხოლოდ კრულობითი ეპიტაფია.[7] ამავე დროს ჩნდება რიგი კითხვები, რაც აღნიშნულ ეპიტაფიასა და უშუალოდ ძეგლს უკავშირდება.

ვისი საფლავის ქვა უნდა იყოს აღნიშნული სიძველე?

როგორც აღინიშნა, უშუალოდ წარწერა ამის შესახებ არაფერს ამბობს. ამავე დროს X-XI საუკუნეების წარწერიანი საფლავის ქვა, მით უმეტეს ასეთი დახვეწილი კალიგრაფიით, ვერ იქნებოდა ერთი რიგითი პიროვნების. ასეთი მონაცემები უფრო მის მაღალ სოციალურ სტატუსზე მიუთითებს. მაგრამ რატომ არ იხსენიება ის წარწერაში? ხომ არ იყო ეს იმის

---

[7] ამ კუთხით საინტერესოა ჩვენამდე შემორჩენილი რამდენიმე საფლავის ქვა: 1) XI საუკუნით დათარიღებული საფლავის ქვა ბოლნისიდან, სადაც ვკითხულობთ: *„ესე საფ|ლ{ა}ვი იოსებ|[მთავა]რსდაიკონ{ი}|[ს]{ა}ა. თქ{უ}ე{ნ}ა ვ|[ი]ნ ესე სა[ფლა]|ვი ააღოს, | შ{ე}რ{ი}ს{ხუ}<ა>ლ უ[ყ]{ა}|ვწ“* (გოგოლაძე, 2023ა: 336); 2) ნეკრესში აღმოჩენილი საფლავის ქვა (#7), რომელიც გამომცემელმა I-II საუკუნეებით დაათარიღა (ჭილაშვილი, 2004: 36-43, 87), თუმცა ჩემი დაკვირვებით, პალეოგრაფიული და ენობრივი მონაცემებით VII-VIII საუკუნეებისა უნდა იყოს. ტექსტი: *„[ესე საფლავი (ან) სამარხოი ...მან] | აზატ| (ი)სი არს. | ნუმ|ცა ვინ | ხრევ|ს“* (ჩემი პალეოგრაფიული დაკვირვებით სხვა პერიოდებისა უნდა იყოს ნეკრესის სხვა წარწერებიც. ხოლო ნეკრესის წარწერების ლ. ჭილაშვილისეული დათარიღების არქეოლოგიური ოპონირების შესახებ იხ. გაგოშიძე, 2023: 167-185); 3) ნეკრესში აღმოჩენილი კიდევ ერთი საფლავის ქვა (#10), რომელიც გამომცემელმა III საუკუნით დაათარიღა (ჭილაშვილი, 2004: 25-28, 87). ჩემი დაკვირვებით კი VI-VII საუკუნეებისა უნდა იყოს. ტექსტი: *„ესე საფლა|ვი ნოშისი | და ბაჯა|სი. ნუმცა | ვის ჴელე|[წი]ფების ჩ...“*; 4) კალაურის ნათლისმცემლის ეკლესიაში ბოლო წლებში გამოვლენილი ძალზე მნიშვნელოვანი ეპიტაფია, რომელიც XI საუკუნის I ნახევრით დათარიღდა. ეპიტაფიის ტექსტი საკმაოდ ვრცელია და რამდენიმე შინაარსობრივი ნაწილისგან შედგება. ის მოგვითხრობს, რომ საფლავი ეკუთვნის კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდის ასულ ელენეს, ვინმე დემეტრე უფლისწულის ცოლს, რომელიც მისივე ნებით დაიკრძალა ნათლისმცემლის ეკლესიაში. ეპიტაფიის ბოლო ნაწილში კი ვკითხულობთ: *„აწ, ვინ რ(ა)Თთ(ა)ცა მიზ(ე)ზ(ი)თა |[47] [შემ(უ)სრო(?)]ს ესე ს(ა)ფლ(ა)ვი კრ(უ)ლ(ი)მც არს ღ(მრთ)ისა პ(ი)რ(ი)თა, |[48] აქა და ს(აუ)კ(უ)ნ(ო)სა!“* (ბოშიშვილი, თავაძე და სხვ., 2021: 464). როგორც ვხედავთ, კალაურის ეკლესიის ელენე დედოფლის ეპიტაფიის ბოლო - კრულობითი ნაწილი მსგავსია ტაბაწყურის საფლავის ქვის ეპიტაფიის ტექსტისა. მეტიც - კალაურის წარწერის გამომცემლებმა ტექსტის კრულობით ნაწილში დაკარგული სიტყვა შინაარსობრივად აღადგინეს როგორც „[შემ(უ)სრო(?)]ს“. ტაბაწყურის საფლავის ქვის ტექსტის ანალოგიის მიხედვით კი შესაძლოა კალაურის ეპიტაფიაშიც სიტყვა „აშალოს“ ყოფილიყო გამოყენებული. ამგვარად, ეს ეპიტაფიები, კრულობითი შინაარსის ტექსტით, პალეოგრაფიითა და ქრონოლოგიური ჩარჩოებითაც ერთმანეთის მსგავსია. კრულობითი ნაწილის მსგავსი ტექსტის შემცველი უნდა იყოს ნეკრესის #8 წარწერაც, რომელიც კარგად არ იკითხება (ჭილაშვილი, 2004: 43-46). თუმცა, ტაბაწყურის ეპიტაფია ამ წარწერებისგან განსხვავებულია, რადგან არ იხსენიებს კონკრეტულ პირს და მხოლოდ საფლავის გახსნის აკრძალვა/წყევლას ეძღვნება.

ნიშანი, რომ ეს საფლავის ქვა იყო არა კონკრეტულად ერთი პიროვნების, არამედ კოლექტიური სამარხი-საძვალეს ან სარკოფაგის ქვა?

ეკლესიის გარე პერიმეტზე, როგორც აღინიშნა სხვა საფლავის ქვებიცაა. არის როგორც უბრალო, მარტივად დამუშავებული ქვის ფილები, ასევე ორი შედარებით კარგად დამუშავებული საფლავის ქვა. ამათგან ერთს ჯვრის ჩასადგამი ფოსოც აქვს თავთან. თუმცა ეს საფლავის ქვები ნიადაგში საკმაოდ ღრმად არის ჩაფლული და პირით აღმოსავლეთით იყურებიან. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ ეს საფლავის ქვები მათ თავდაპირველ ადგილზე არიან.

წარწერიანი საფლავის ქვა კი, როგორც აღინიშნა, უბრალოდ დევს მიწაზე და არ არის ჩაფლული მასში, რაც მიანიშნებს, რომ ის ოდესღაც დაძრულია თავისი ადგილიდან. იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ ზოგადი ტექსტის მიხედვით ეს საფლავის ქვა იყო არა კონკრეტულად ერთი პირის, არამედ კოლექტიური საძვალე-სამარხის ქვა, თავდაპირველად ის ეკლესიის მთავარ ან რომელიმე გვერდითა სივრცეში (ეკვდერში) უნდა ყოფილიყო მოთავსებული. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ეს საფლავის ქვა ოდესღაც აქ არსებული მონასტრის საძმოს საძვალეზე, ან ადგილობრივი დიდებულების საძვალეზე მდებარეობდა.

რომელი ვერსიაა ამ შემთხვევაში უფრო სწორი?

მართალია ადგილზე სათანადო არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა, ხოლო სპეციალურ ლიტერატურაში ძეგლი გამაგრებულ დასახლებად არის ცნობილი, არ არის გამორიცხული აქ მართლაც ყოფილიყო მონასტერი (თუნდაც მცირე). გალავნის კონტურს შიგნით არსებული ნაგებობები შესაძლოა მცირე სამონასტრო კომპლექსის შემადგენელი დამხმარე ნაგებობები ყოფილიყო.

ეპიტაფია, ვფიქრობ, შეიცავს გარკვეულ მინიშნებას, თუ როგორი იყო სამარხის ტიპი. მის ტექსტში მინიშნებაა, რომ საფლავის ხელყოფა (აშლა) დასაშვებიცაა გარკვეული საჭიროებით, თუ ამაზე მღვდლის თანხმობა იქნებოდა. ხოლო თუ მღვდლის თანხმობის გარეშე, ანუ „უმამოდ“ მოხდებოდა ეს, ამის შემოქმედს ეპიტაფიის ავტორი წყევლა-კრულვას უთვლიდა. ვფიქრობ, ეპიტაფიის ამგვარი ფორმულირება - მღვდლის ფაქტორის, როგორც მესამე პირის დასახელება - უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საფლავის ქვა საერო პირ(ებ)ს ეკუთვნოდათ.[8] ხოლო ვინაიდან საფლავის ქვაზე ძალზე ლამაზი ასოებით შესრულებული ეპიტაფია, როგორც ითქვა, ვერ იქნებოდა უბრალო პირის, საქმე უნდა გვქონდეს ადგილობრივი დიდებულის სამარხთან.

ამგვარად, არსებული ძალზე მწირი მონაცემებით, მიმაჩნია, რომ ტაბაწყურის „ნინოყალას“ ეპიტაფიიანი საფლავის ქვა წარმოადგენდა ადგილობრივი დიდებულ(ებ)ის საფლავის ან კოლექტიური საძვალის ქვას.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს პირი თუ ფეოდალური საგვარეულო?

ტაბაწყურის ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტი ჯავახეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობის, კერძოდ ჯავახეთის, თორისა და თრიალეთის ისტორიული პროვინციების გზაშესაყარზე მდებარეობის გამო ტაბაწყური ოდითგანვე დაწინაურებულა და გარკვეულ მიკროქვეყნადაც კი ჩამოყალიბდა.[9] ტაბაწყურს ყველა მხრიდან იცავდა მშრალი წყობით ნაგები ციხე-სიმაგრეები. მოზრდილი კედლებია შემორჩენილი დღესაც უშუალოდ ტბაში შეჭრილ იმ ნახევარკუნძულზე, რომელზეც სოფელი მდებარეობს, და ასევე ტბაშივე არსებულ კუნძულზე. თვით ჯავახეთი X საუკუნიდან სამეფო დომენი იყო, უფრო კონკრეტულად კი, ტაო-კლარჯეთის მეფეთა დომენი. ჯავახეთის პლატოზე კი, სადაც გაბატონებული იყო ე.წ. მთის ეკონომიკა, ადგილობრივი ფეოდალები ვერ იქცნენ დიდ მემამულეებად და ისინი მეფის მიერ სამეფო მიწების განმკარგავ-გამგებლად დანიშნული, შედარებით წვრილი ფეოდალები იყვნენ (ბერძენიშვილი, 1985: 129-130). ჯავახეთს აფხაზთა მეფეთათვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საქართველოს გაერთიანებისათვის აუცილებელი პირობა თრიალეთისა და ჯავახეთის, როგორც რეგიონის სტრატეგიული გზაჯვარედინების ფლობა იყო. X-XI საუკუნეებში, განსაკუთრებით კი X-XI საუკუნეების მიჯნაზე, როცა გადამწყვეტ ფაზაში შედის

[8] სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, ამ ფორმულირების გაგება საპირისპირო მნიშვნელობითაც შეიძლება: წარწერის ტექსტის ავტორი შესაძლოა ბერი ყოფილიყო, რომელიც საძმო საძვალეს ქვის დაძვრას მხოლოდ და მხოლოდ მისივე, ანუ სასულიერო წრის, და არა საერო ფენის წარმომადგენლის ჩართულობით მიიჩნევდა დასაშვებად. შესაძლოა ამაზევე (ბერების სამარხზე) მიუთითებდეს ტექსტში კონკრეტული პირის მოუხსენებლობაც.

[9] მიიჩნევა, რომ *„გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, ზემო ჯავახეთის ცალკეული მდინარეები არ ქმნიდნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს - „ხევებს“. აქ დიდი და მცირე ტბები ქმნიან პატარა მდინარეთა შემკრებ აუზებს, მთა-გორებით გამოყოფილს სხვა ასეთივე, ან მშრალი ქვაბურებისაგან. სწორედ ამ ტბების ირგვლივ არსებული სოფლები შეადგენენ აქაურ მიკროქვეყნებს. ამათაც ძველთაგანვე თავისი ცენტრები გააჩნდათ. ასეთები იყო საღამოს, ხანჩალის, კარწახის, ტაბაწყურის, ფარავნისა და სხვა ტბები“* (ბერძენიშვილი, 1985: 83, 99; თუმანიშვილი, 2000: 9, 81-83). არქეოლოგიური თვალსაზრისით ცალკე არის გამოყოფილი ტაბაწყურის „ლოკალური არეალიც“ (ნარიმანიშვილი, 2019: 44).

სხვადასხვა ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების ერთ სამეფოდ გაერთიანების პროცესი, ჯავახეთის ეს მონაკვეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვან პუნქტად იქცა. ამაზევე მეტყველებს სამეფო რეზიდენცია-სადგომების გადმოტანა ჯავახეთის პლატოს სამხრეთი ნაწილიდან მის ჩრდილო ნაწილში, უშუალოდ ტაბაწყურის მიმდებარედ. ეს მიდამოები უშუალოდ მეფის გავლენის ქვეშ მოექცა (ბერძენიშვილი, 1985: 102; წიქარიშვილი, ბერიძე და სხვ., 2025: 37-41).

ტაბაწყურის ხედი „ნინოყალადან“.

ამგვარად, ტაბაწყურის წარწერიანი საფლავის ქვა ქრონოლოგიურად ემთხვევა ზემოთგანხილულ ამბებს, რა დროსაც ტაბაწყური დიდად მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო (დაბა?), და მასზე ჯერ ტაო-კლარჯეთის მეფეთა გავლენა ვრცელდებოდა (X საუკუნის ბოლომდე), მოგვიანებით კი (XI საუკუნის დასაწყისიდან) აფხაზთა მეფის გავლენა გავრცელდა. შესაბამისად, არსებული მწირი მონაცემების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული საფლავის ქვა ეკუთვნოდა ადგილობრივ ფეოდალს (ან მისი გვარის საძვალეს), რომელსაც შესაძლოა უშუალოდ ტაბაწყურის გამგებლობაც კი ჰქონოდა ჩაბარებული მეფისაგან.

დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ზემო ჯავახეთის, ანუ პლატო ჯავახეთის წვრილი ფეოდალები „*უციხო და უმონასტრო აზნაურებად რჩებოდნენ*“ (ბერძენიშვილი, 1985: 130). თუ ტაბაწყურის „ნინოყალას“ წარწერიანი საფლავის ქვა მართლაც ასეთ აზნაურს ეკუთვნოდა, რომელიც შესაძლოა ამავე დროს მეფის მიერ დადგენილი ტაბაწყურის გამგებელიც ყოფილიყო, შეიძლება დაისვას კითხვა: რამდენად მართებულია დ. ბერძენიშვილის ეს დაკვირვება? ხომ არ იყო „ნინოყალას“ კომპლექსი ამ აზნაურის საცხოვრებელი რეზიდენცია ან საძვალე-მონასტერი? ან ხომ არ იყო ის არა წვრილი აზნაური, არამედ შედარებით უფრო დაწინაურებული ციხოსან-მონასტროსანი ფეოდალი?[10]

[10] იმავე კითხვის დასმა შეიძლება ტაბაწყურთან ახლოს, ჯავახეთის სოფ. აგანაში ახლად გამოვლენილი ნათლისმცემლის ეკლესიის 1001-1014 წლების სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული ვინმე ბაბრის შესახებ. ნაკლული წარწერის მიხედვით, რომელიც

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფლავის ქვა არა ადგილობრივი ფეოდალის, არამედ მონასტრის საძმოს საძვალეს ქვას წარმოადგენდა, სულ მცირე, „ნინოყალას“ კომპლექსის რაობა გაირკვევა.

სათანადო კვლევებისა და საისტორიო თუ წერილობითი მასალის სიმწირის გამო, ამ კითხვებზე პასუხები ჯერ-ჯერობით არ გვაქვს. თუმცა ფაქტია, რომ ტაბაწყურის ახლად გამოვლენილი საფლავის წარწერა ამ მხრივ ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს. მისი უნიკალურობა კი ძეგლის უკეთ შესწავლის მოტივაციას ბადებს.

დასკვნები

1. ტაბაწყურში, „ნინოყალას“ ნაეკლესიართან მდებარე საფლავის ქვაზე აღმოჩნდა აქამდე უცნობი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც პალეოგრაფიულად X-XI საუკუნეებით, უფრო ზუსტად კი X საუკუნის II ნახევრითა და XI საუკუნის I ნახევრით უნდა დათარიღდეს;
2. შინაარსობრივად წარწერა წარმოადგენს უნიკალურ ეპიტაფიას, რომელიც ერთგვარი განჩინება-წყევლაა მათთვის, ვინც საფლავს მღვდლის ნებართვის გარეშე ხელყოფდა.
3. წარწერიანი საფლავის ქვის ქრონოლოგიის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ტექსტის შინაარსის მიხედვით არის ალბათობა, რომ აღნიშნული საფლავის ქვა ეკუთვნოდეს მეფის დადგენილ მოხელეს - ტაბაწყურის განმკარგავ-გამგებელ ფეოდალს, რომლის განსასვენებელიც „ნინოყალას“ ეკლესიაში უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში გადახედვას საჭიროებს დამკვიდრებული შეხედულება ჯავახეთის სამეფო დომენის განმკარგავი აზნაურების ფეოდალური საფეხურის საკითხიც.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო გიორგი მაღრაძეს, რომელმაც პირველად შენიშნა ეს წარწერიანი ქვა და რომელმაც რამდენიმე წლის წინ მომაწოდა ინფორმაცია მის შესახებ. ასევე ქეთევან მაღრაძესა და სოფ. ტაბაწყურის სკოლის ქართული ენის პედაგოგს ბელა ჯიკაევს, რომელთაც დახმარება გამიწიეს წარწერის ადგილზე ამოკითხვისას და პალეოგრაფიული ასლის გაკეთებისას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

პალეოგრაფიულადაც ახლოს არის ტაბაწყურის ახლადგამოვლენილ წარწერასთან, მას ნათლისმცემლის ეკლესიის მშენებლობა 984 წელს უნდა დაეწყო, თუმცა უცნობი მიზეზების გამო 1001-1014 წლებში უნდა დაესრულებინა. წარწერის ნაკლული ტექსტის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბაბრიც ჯავახეთის სამეფო დომენის ერთ-ერთი მონაკვეთის განმკარგავი წვრილი ფეოდალი იყო, რომელიც ეკლესიის მშენებლობის დაწყებისას დავით III კურაპალატის ვასალი იყო, ხოლო ეკლესიის დასრულებისას უკვე ბაგრატ III კურაპალატის ვასალი (წიქარიშვილი, ბერიძე და სხვ., 2025: 37-41). არ ჩანს სრულად მისი მიმართება ნათლისმცემლის ეკლესიის მიმართ - იყო ის ამ ეკლესიის მხოლოდ მშენებელი მეფ(ეებ)ის დავალებით, თუ ამ ეკლესიის მფლობელი, ანუ „მონასტროსანი“ აზნაური.

ბერძენიშვილი, დ. (1985). *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან: ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბოშიშვილი, ა., თავაძე, ლ. და სხვ., (2021): ა. ბოშიშვილი, ლ. თავაძე, ე. კვირკველია, ა. ჩიქობავა, კვირიკე რანთა და კახთა მეფის ასულის ელენეს ეპიტაფია. *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII.* თბილისი.

გაგოშიძე, ი. (2023): ნეკრესის წარწერების გამო. *ქრონოსი. 4.* თბილისი.

გოგოლაძე, თ. (2023ა): *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი (თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი).* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

გოგოლაძე, თ. (2023ბ): *თრიალეთის წარწერების კორპუსი (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო).* თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“.

ჯავახეთი (2000): *ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი.* რედ.: დ. თუმანიშვილი. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

ნარიმანიშვილი, დ. (2019): *საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები.* თბილისი: გამომცემლობა „დი ენდ ჯი“.

ბოშიშვილი, ა., მათითაშვილი, შ. და სხვ. (2017): *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I, დმანისის რაიონი, ავტორ-შემდგენლები: ალექსანდრე ბოშიშვილი, შოთა მათითაშვილი, ირინე მირიჯანაშვილი, გიორგი ოთხმეზური, ნიკოლოზ ჟღენტი, დიმიტრი ცუცქირიძე, ელზა ხაინდრავა.* თბილისი.

სილოგავა, ვ. (1984): *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

შოშიაშვილი, ნ. (1980): *ქართული წარწერების კორპუსი I. ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

წიქარიშვილი, ლ., ბერიძე, მ. და სხვ. (2025): *მესხეთის კულტურის ძეგლები, 2024 წლის ექსპედიციების ანგარიშები (ახალქალაქი, ნინოწმინდა). ექსპედიციების ანგარიში მოამზადეს: ლევან წიქარიშვილმა, მერაბ ბერიძემ (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, ნიკოლოზ ჟღენტმა, ნანა ხუსკივაძემ, ნინო ზუმბაძემ, შალვა კოღუაშვილმა.* თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (2004): *ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები.* თბილისი.

References

abuladze, i (1973). *dzveli kartuli enis leksik'oni.* tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.

berdzenishvili, d. (1985). *nark'vevebi sakartvelos ist'oriuli geograpiidan: zemo kartli-tori, javakheti.* tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.

boshishvili, a., tavadze, l. da skhv., (2021): a. boshishvili, l. tavadze, e. k'virk'velia, a. chikobava, k'virik'e ranta da k'akhta mepis asulis elenes ep'it'apia. *sakartvelos ist'oriis inst'it'ut'is shromebi.* XVII. tbilisi.

gogoladze, t. (2023a): *kvemo kartlis ep'igrapik'uli k'orp'usi (tetrits'qaro, marneuli, bolnisi).* tbilisi: gamomtsemloba „art'anuji“.

gogoladze, t. (2023b): *trialetis ts'arts'erebis k'orp'usi (ts'alk'a, dmanisi, tetrits'qaro).* tbilisi: gamomtsemloba „samshoblo“.

javakheti (2000): *ist'oriul-khurotmodzghvruli gzamk'vlevi*. red.: d. tumanishvili. tbilisi: gamomtsemloba „nek'eri“.

narimanishvili, d. (2019): *sakartvelos tsik'lop'uri simagreebi*. tbilisi: gamomtsemloba „di end ji“.

boshishvili, a., matitashvili, sh. da skhv. (2017): *kvemo kartlis ep'igrapik'uli k'orp'usi, I, dmanisis raioni*, avt'or-shemdgenlebi: aleksandre boshishvili, shota matitashvili, irine mirijanashvili, giorgi otkhmezuri, nik'oloz zhghent'i, dimit'ri tsutskiridze, elza khaindrava. tbilisi.

silogava, v. (1984): *kartuli lap'idaruli ts'arts'erebis k'orp'usi, II, dasavlet sakartvelos ts'arts'erebi, nak'v. I (IX-XIII ss.)*, sheadgina da gamosatsemad moamzada valeri silogavam. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.

shoshiashvili, n. (1980): *kartuli ts'arts'erebis k'orp'usi I. lap'idaruli ts'arts'erebi I, aghmosavlet da samkhret sakartvelo (V-X ss.).* sheadgina da gamosatsemad moamzada n. shoshiashvilma. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.

ts'ikarishvili, l., beridze, m. da skhv. (2025): *meskhetis k'ult'uris dzeglebi, 2024 ts'lis eksp'editsiebis angarishebi (akhalkalaki, ninots'minda)*. eksp'editsiebis angarishi moamzades: levan ts'ikarishvilma, merab beridzem (p'roekt'is sametsniero khelmdzghvaneli), bebur gozalishvilma, ana imedashvilma, nik'oloz zhghent'ma, nana khusk'ivadzem, nino zumbadzem, shalva k'oghuashvilma. tbilisi.